საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030169795764518

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/6469 **05 / თებერვალი / 2018 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
საკონსულო დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ გიორგი ტაბატაძეს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2017 წლის 14 დეკემბრის №01/44848 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ საქართველოში 2013 წლიდან ძალაშია „საყოველთაო ჯანდაცვის“ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მასშტაბურ სამედიცინო სახელმწიფო პროექტს და 5 წელია წარმატებით მიმდინარეობს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა შემუშავებულია ქვეყნის რეალიების ღრმა ანალიზის (მათ შორის კლინიკების განფასებებისა თუ კერძო სადაზღვევო სექტორის პოტენციალის) საფუძველზე, რამაც ერთგვარად განსაზღვრა გონივრული მინიმუმები სამედიცინო სერვისებისა და განფასებების ნაწილში, სხვადასხვა ტიპის (სოციალური, ფინანსური, დემოგრაფიული, საბიუჯეტო თუ სხვა) ფაქტორების გათვალისწინებით და მაქსიმალურად მორგებულია მიმდინარე გამოწვევებს.

ამავდროულად, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, უცხოელი მოქალაქეებისათვის სამედიცინო ტრანსპორტირების (600-ზე მეტი შემთხვევა თვეში) და კლინიკებში გაწეული სამედიცინო სერვისების დაფინანსების საკითხი, რიგ შემთხვევებში ღიად რჩება და შეუძლებელია იურიდიული თუ სხვა ბერკეტების სრული სიმძლავრით ამოქმედება. საკითხი განსაკუთრებით რთულდება ბინადრობის მოწმობის მქონე (შესაბამისად საქართველოში ხანგრძლივად მყოფ) დაუზღვეველ მოქალაქეებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანშეწონილად მიიჩნევს, საქართველოში კანონიერად ჩამომსვლელთა სამედიცინო დაზღვევა შეესაბამებოდეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დადგენილ ძირითად პარამეტრებს.

<u>**კერძოდ:**</u>

- გადაუდებელი შემთხვევების (როგორც სტაციონარული ასევე ამბულატორიული) დროს ერთი შემთხვევის ლიმიტი - 15,000 ლარი;

გარდა ამისა, გადაუდებელი სერვისების ლიმიტში გათვალისწინებულ უნდა იქნას „სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა“ და „სამედიცინო ტრანსპორტირების“ მომსახურების ხარჯებიც (ასეთი სერვისები ფასიანია უცხოელთათვის).

- გეგმური ქირურგიული ოპერაციები (მათ შორის, დღის სტაციონარი), ასევე ყველა ტიპის ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები – წლიური ლიმიტი 15 000 ლარი.
- ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა (მათ შორის, დღის სტაციონარი), კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია და ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები - წლიური ლიმიტი 12 000 ლარი;
- მშობიარობა/საკეისრო კვეთა -500/800 ლარი.

ასევე სხვა ძირითადი პირობები და დათქმები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ანალოგიურად.

პატივისცემით,

ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი



სოფიკო ბელქანია